PDF Eraser Free

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრი

ხათუნა მაისაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე: **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №176656 ბრძანების (01.03.2021) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;
2. ხათუნა მაისაია - წევრი

ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს ასევე დაევალა განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ მიერ წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ (განხორციელების ადგილი ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ.№2).

ექსპერტთა ჯგუფმა, დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ, მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და 2021 წლის 22 მარტს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების (სს „ევექსის ჰოსპიტალები“ და „ქუთაისის ფსიქიატრიული კლინიკა“)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
წარმომადგენლებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების საგანმანათლებლო (სასწავლო და დამხმარე) სივრცის გადამოწმება (დისტანციური გასაუბრების განრიგი დასკვნის პროექტს თან ერთვის).

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

–

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

–

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

–

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	სფეროს ჯანდაცვა, დეტალურ სფეროს საექთნო საქმე (კოდი 0913)
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება №8/2. 09/02/2021 წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ქუთაისი, ოცხელის №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ადგილების რაოდენობა -78; პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა -138; მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა -216
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	**სრული შესაბამისობა**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	✓	✓

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ მოპოვებული ადგილების რაოდენობაა - 78 პროფესიული სტუდენტი; პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა -138; ჯამში მოთხოვნილი ადგილების რაოდენობაა -216 პროფესიული სტუდენტი.

<u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</u>

კერძოდ:

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს, პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი, ორი A/C და ერთი B გარემო, მისამართზე - ქუთაისი, ოცხელის ქ. N2.

<u>ერთი A/C გარემო</u>-**სასწავლო აუდიტორია №3 – 48 სტუდენტზე.** თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო პლაკატებით.

<u>მეორე A/C გარემო</u>-**სასწავლო - პრაქტიკული აუდიტორია №4 - 24 სტუდენტზე,** თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო პლაკატებით.

<u>B გარემო</u> -**კომპიუტერული კლასი** - ლაბორატორია - 18 სტუდენტზე, რომელიც სრულადაა აღჭურვილი მოდულის „**ინფორმაციული წიგნიერება-2**“ განსახორციელებლად.

<u>**ორივე A/C გარემო მოეწყო საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით კოლეჯის მფლობელობაში არსებული დამატებითი (თავისუფალი) ფართის გარემონტების ხარჯზე.**</u>

<u>საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულებას განახლებული აქვს ადრე პროგრამის დამატების დროს გაფორმებული ხელშეკრულებები.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კერძოდ:

განახლდა თანამშრომლობის ხელშეკრულება შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. **სს „ევექსის ჰოსპიტალები“.**

სს ,,ევექსის ჰოსპიტლები“ - 24. 05. 2019 წელი - ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედების ვადა 3 წლის განმავობაში. მხარეები თანხმდებიან, რომ ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე თუ ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება შემდგომი 3 წლით. ხელშეკრულების თანახმად შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთჯერზე მიიღოს 106 პროფესიული სტუდენტი იმ გაანგარიშებით, რომ 7 პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს ერთი პრაქტიკის ხელმძღვანელი, გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები.

ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების პროცესში, აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასახელება.

ხელშეკრულებას თან ახლავს შეთანხმება - ხელშეკრულებაში დამატებების განხორციელების შესახებ 01.02.2021 წელი. ორივე მხარე თანხმდებიან, რომ კორპორაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას უზრუნვრლყოფს პრაქტიკული ბაზის სახარჯი მასალების და საჭირო ადამიანური რესურსის გამოყოფას ერთდროულად 144 პროფესიული სტუდენტისათვის.

2. **ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი.**

ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (HD1-1-2021) 03.02.2021 წელი 2026 წლის 1 იანვრამდე. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი რესურსით (მატერიალური, ადამიანური) განახორციელოს მოდულები, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კომპონენტი.

1) ავადმყოფის მოვლა;
2) შინმოვლა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
თითოეულ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს 20-ს.

3. **შპს ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი.**

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ - ,,ქუთაისის ფსიქიატრიული კლინიკა“. 20. 08. 2019 წელი - მოქმედების ვადა 7 წელი.

ხელშეკრულების თანახმად შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას 7 პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს ერთი პრაქტიკის ხელმძღვანელი, გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები.

ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების პროცესში, აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების ჩამონათვალით.

ხელშეკრულებას თან ახლავს შეთანხმება - ხელშეკრულებაში დამატებების განხორციელების შესახებ 05.02.2021წელი. ორივე მხარე თანხმდებიან, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას შეთანხმებული გრაფიკით შემსრულებელი (კლინიკა) უზრუნველყოფს პრაქტიკული ბაზის სახარჯი მასალების და საჭირო ადამიანური რესურსის გამოყოფას 72 პროფესიული სტუდენტისათვის.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა განმახორციელებლების პირადი საქმეები და ასევე მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში.

კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი, სადაც მითითებულია სახელი, გვარი, კვალიფიკაცია/მუშაობის გამოცდილება. პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
შედგება: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დიპლომი, სერთიფიკატები, ცნობა სამუშაო ადგილიდან და მომსახურების ხელშეკრულება მოდულების ჩამონათვალით. კოლეჯმა წარმოგვიდგინა პერსონალის - სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთან ბრძოლის შესახებ მტკიცებულება-ცნობა.
აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებისრაოდენობა (25 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის ზოგადი მოდულები - 5 პროფესიული მასწავლებელი (2 - საინფორმაციო, 2 - უცხო ენა, 1- კომუნიკაცია). თეორიული მოდულები - 20 პროფესიული მასწავლებელი) და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ამავე დროს, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის ადიმინისტრაციის ორმა წარმომადგენელმა სულ ახლახან წარმატებით დაასრულა ინოვაციური განათლების ცენტრის მიერ ჩატარებული პროგრამის „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში“ 9 საათიანი კურსი, რაც დასტურდება მათზე გაცემული სერტიფიკატებით. აღნიშნულმა თანამშრომლებმა უკვე დაიწყეს ტრენინგების ჩატარება დაწესებულების პროფესიული მასწავლებლებისთვის.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ყავს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ დირექტორის ბრძნებით (№13/1, 15.07.2020) დანიშნული ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება საზოგადოებრივი კოლეჯის მარეგულირებელი დებულებების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელთან დისტანციური გასაუბრების დროს, აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
მონაწილეობას იღებდა პროგრამის შემუშავების პროცესში, ის შეძლებს კოორდინირება გაუწიოს პროფესიულ მასწავლებლებს მოდულების კალენდარული გეგმების/ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გადამოწმება, როგორც ელექტრონული სახით, ასევე მატერიალური სახით, მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დროს, ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის დროს, და აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფს, შენიშვნა და რეკომენდაცია არ გაუცია, დისტანციური განხილვის დროს, ხარისხის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სწავლის დაწყებიდან დღემდე, საგანმამათლებლო რესურსების დამატება/განახლება არ მომხდარა, დისტანციური გასაუბრების ფარგლებში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება, ბიბლიოთეკართან გასაუბრება და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმება. მიგვაჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულების საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამიტომ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომა სსსმ პირებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ამჟამად აღნიშნულ პროგრამაზე არ ფიქსირდება არცერთი სსსმ პირი.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ექსპერტთა მოთხოვნით დაწესებულებამ გადმოაგზავნა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომლის შემოსავლის ნაწილში მოცემულია ისეთი მუხლები, როგორიცაა პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასური და საორგანიზაციო მოსაკრებელი, თუმცა საორგანიზაციო მოსაკრებელის გასწვრივ არანაირი თანხა არ ფიქსირდება. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში **ძირითადი ხარჯები,** რომელშიც მოცემულია ისეთი მუხლები, როგორიცაა სამეურნეო, საკანცელარიო, კომუნალური, სარეკლამო, იჯარის, ქონების გადასახადის, მივლინების ხარჯები. ასევე, სტუდენტების კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, პედაგოგების და ადმინსტრაციის განვითარებისათვის, კოლეჯის განვითარების (აღჭურვილობის შეძენა, რემონტი, ავტორიზაციის სხვადასხვა მოთხოვნების უზრუნველყოფა), პედაგოგის და სტუდენტების წახალისების ხარჯები და **პროგრამული ხარჯები,** რომელიც მოიცავს საათური ანაზღაურების ხელფასების, მასალა - ნედლეულის შეძენის და სხვა ხარჯებს.

საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ბიუჯეტით გაწერილი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- დისტანციურად საგანმანათლებლო სივრცეების დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი (ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად)

12.04.2021წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---